

საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N13(20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი განისაზღვრება „საჯარო სამსახურის კოდექსით“.

2. მე-14¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. სამმართველოში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონები და „საჯარო სამსახურის კოდექსი“, აგრეთვე სამმართველოს დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.